



თბილისი

აუდიტორული დასკვნა

შპს “რადიო პალიტრის” ანგარიშგებაზე

ჩვენ ჩავატარეთ შპს “რადიო პალიტრის” თანდართული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების (ბალანსის) და მოგება-ზარალისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგების აუდიტი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული შემოსავლების ანგარიშგების აუდიტი, ამავე თარიღით დამთავრებული წლისათვის.

აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებების მომზადებაზე და კონტროლზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა, ჩვენ კი გვევალება, ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვხატოთ მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე და გავცეთ დასკვნა.

შპს “რადიო პალიტრის” მიერ წარმოდგენილი საბალანსო მონაცემებით, 2021 წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლები შეადგენდა 424 673 ლარს, ამავე პერიოდის ხარჯები კი 610 054 ლარს უდრიდა. შესაბამისად, შპს “რადიო პალიტრის” 2021 წლის საანგარიშო პერიოდის ფინანსურმა ზარალმა 147 090 ლარი შეადგინა.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს “რადიო პალიტრის” აქტივები 87 449 ლარს შეადგენდა; ამავე პერიოდისთვის მათი ვალდებულებები 337 121 ლარს და მთლიანი კაპიტალი -249 672 ლარს შეადგენდა, ხოლო სულ პასივები უდრიდა 87 449 ლარს.

“თიბისი” ბანკი TBCBGE22, ანგარიშსწორების ანგარიში: **GE97TB1126936020100004**

საიდენტიფიკაციო კოდი 205243173, მისამართი: აღმაშენებლის გამზირი №117.

მობილური: 568254020, 595992928.

აუდიტი გულისხმობს ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და შეფასებების სისწორის დადგენას, აგრეთვე წარმოდგენილი ანგარიშგების შეფასებას მთლიანად. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტი დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს დასკვნის შესადგენად.

შპს “რადიო პალიტრის” მიერ წარმოდგენილი ანგარიშგების განხილვით დადასტურებულია, რომ საწყისი და საბოლოო ნაშთების გადატანა ფინანსური მდგომარეობის (ბალანსის) ანგარიშგებასა და მოგება-ზარალისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში ნაწარმოებია სწორად და სრულად შესაბამისობაშია ბუღალტრული რეესტრებისა და რეგისტრების ჩანაწერებთან.

ჩვენი აზრით, შპს “რადიო პალიტრის” მიერ წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება და მოგება-ზარალის ანგარიშგება სამართლიანად ასახავს კომპანიის საქმიანობის შედეგებს, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2021 წლის 28 აპრილი

შპს „ექსპრეს აუდიტი 2“-ის დირექტორი
სერტიფიცირებული აუდიტორი
ნ. ელაშვილი (სერტიფიკატი №5/468)
SARAS-A-587364



“თიბისი” ბანკი TBCBGE22, ანგარიშსწორების ანგარიში: **GE97TB1126936020100004**
საიდენტიფიკაციო კოდი 205243173, მისამართი: აღმაშენებლის გამზირი №117.
მობილური: 568254020, 595992928.